ესსეების კონკურსი

იურიდიული ფირმა „მგალობლიშვილი ყიფიანი ძიძიგური“ (MKD) ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტთან თანამშრომლობით, ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებისათვის აცხადებს რიგით მეორე ესსეების კონკურსს თემაზე - **„ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA) და საქართველოს სამართლებრივი სივრცე“**. საკონკურსო ნაშრომი უნდა ასახავდეს ავტორის ხედვას მოცემულ თემასთან დაკავშირებით. ესსეების შეფასების ძირითად კრიტერიუმებია ორიგინალური აზროვნება, ანალიტიკა და თემის ცოდნა. კონკურსის გამარჯვებულს გადაეცემა ფულადი პრიზი.

მონაწილეობის მსურველებმა საკუთარი ნამუშევრები უნდა გამოაგზავნონ შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: law@tsu.ge. წერილის თემის ველში მიუთითეთ: ესსეების კონკურსი. ნაშრომს თან უნდა ერთვოდეს ავტორის რეზიუმე და პირადობის მოწმობის ასლი.

ნაშრომის მოცულობა უნდა იყოს მინიმუმ 5 და მაქსიმუმ 10 ნაბეჭდი გვერდი (ინტერვალი: 1,5, შრიფტი - Sylfaen, შრიფტის ზომა - 12) .

ესსეები მიიღება მიმდინარე წლის 18 მაისიდან 16 ივნისის ჩათვლით.

გამარჯვებული გამოვლინდება საბუთების მიღების ვადის დასრულებიდან 2 კვირის განმავლობაში.

გისურვებთ წარმატებას!